2-19540/23
29-11-2023

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

2023 წლის 8 ნოემბერს ჩვენს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი იქნა საქართველოს კანონის პროექტი „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/380; 08.11.2023).

კანონპროექტი მიზნად ისახავს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მოპოვების პროცესის დახვეწას/გამარტივებას და ითვალისწინებს ცვლილებას „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში, რომლითაც განისაზღვრება, რომ ლიცენზიის მაძიებელმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის ჯგუფის სტრუქტურის/მფლობელობის სტრუქტურის შესახებ, ასევე, მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია მნიშვნელოვანი წილის მფლობელი როგორც აქციონერების, ასევე შუალედური მფლობელებისა და ბენეფიციარი მესაკუთრის თაობაზე, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – საიდენტიფიკაციო ინფორმაცია 20 უმსხვილესი აქციონერის შესახებ და ინფორმაცია მათ მფლობელობაში არსებული წილის/აქციების ოდენობისა და ტიპის შესახებ. ამრიგად, ლიცენზიის მაძიებელს აღარ მოუწევს საქართველოს ეროვნულ ბანკში წილის ოდენობის მიუხედავად, ყველა აქციონერის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა, რაც რიგ შემთხვევაში, პრაქტიკაში განუხორციელებელ მოთხოვნას წარმოადგენს.

ამასთან, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი კანონის პროექტი მომდევნო კალენდარული წლის დაწყებამდე იქნეს მიღებული, იმისთვის, რათა ლიცენზიის მაძიებლებს არ შეექმნათ გაუმართლებელი ბარიერი ლიცენზიის მიღების პროცესში. თუმცა, რადგან საქართველოს პარლამენტის მიმდინარე საშემოდგომო სესია 2023

წლის 15 დეკემბერს სრულდება, განხილვის სტანდარტული პროცედურების შესაბამისად წარმართვის შემთხვევაში, ცვლილების მიღება ვერ მოესწრება მიმდინარე წლის დასრულებამდე, რამაც შესაძლოა საკმაოდ დიდი სირთულეები შეუქმნას ლიცენზიის მაძიებლებს. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება დასახელებული კანონის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვისა და მიღების შესახებ 2023 წლის 11-15 დეკემბრის სასესიო კვირაში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

პარლამენტის წევრი
ირაკლი (დაჩი) ბერაია



პარლამენტის წევრი
ეკა სეფაშვილი



პარლამენტის წევრი
მაია ბითაძე

პარლამენტის წევრი
ბეჟან წაქაძე

პარლამენტის წევრი
დავით სონღულაშვილი